ვინ იყო შაქრო მაღალაშვილი?

ავტორი: თამაზ ჯოღოგუა

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „შელოცვა რადიოთი“ „ძველი ქართველი დარდიმანდის“ ტიპურ წარმომადგენლად აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრესთან, პოეტსა და საზოგადო მოღვაწე გიორგი შარვაშიძესთან (1846-1918) ერთად დასახელებულია შაქრო მაღალაშვილი („...ძველი ქართველი დარდიმანდი, ვინმე გიორგი შერვაშიძე ან შაქრო მაღალაშვილი, თუ შეამჩნევდა, რომ დასცვენოდა უმანკოების ფიფქი“).

ვინ იყო შაქრო მაღალაშვილი?

ლუარსაბ (შაქრო) ალექსანდრეს ძე მაღალაშვილი (1839-1907) იყო საზოგადო მოღვაწე, „თერგდალეული“ (ილია ჭავჭავაძესთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ილიამ მას უძღვნა ლექსი „მტკვრის პირას“), „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი (1879), 1880-იან წლებში თბილისის მაზრის, ხოლო 1891-1894 წლებში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინმაძღოლი („მარშალი“), სამოქალაქო მრჩეველი

(„სტატსკი სოვეტნიკი“), წმ. ანას, წმ. სტანისლავისა და წმ. ვლადიმირის ორდენების კავალერი, სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა პეტერბურგში, სადაც რუსეთის იმპერატორის ამალაში შედიოდა კამერჰერის ჩინით. 1894 წელს „კვალში“ (N25, გვ. 1-2) ლუარსაბ მაღალაშვილის ღვაწლი ასეა დახასიათებული: „თავადი ლ. ა. მაღალაშვილი ერთს იმ ბრწყინვალე გუნდს მესამოცე წლების განათლებულის ქართველის თაობისას ეკუთვნის, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებაში შეიტანა ცხოველმყოფელი მოქმედება, განაღვიძა მცონარეობისაგან ჩვენი საზოგადოება, დაძრა ერთი ადგილიდან და დააყენა იგი წარმატების გზაზე“.

1882 წელს ლუარსაბ მაღალაშვილმა გაზეთ „გოლოსში“ (პეტერბურგი, N70) უპასუხა მიხეილ კატკოვის რედაქტორობით გამომავალი გაზეთის, „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ („მოსკოვის უწყებანი“), გამოხდომას, როცა ამ შოვინისტური სულისკვეთების გაზეთმა ქართველებს ურჩია: დავით ერისთავის „სამშობლოს“ დადგმის ხარჯების ასანაზღაურებლად ქართული დროშები გოდფრუას ცირკს მიჰყიდეთო (როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ხელმოუწერელი პასკვილის ავტორი იყო საქართველოში მცხოვრები რუსი პედაგოგი სტეფანე რიჟოვი. ცნობილია ხსენებულ ფაქტზე ილიას უმწვავესი რეაქცია – „კატკოვის პასუხად“).

შაქრო მაღალაშვილი

ლუარსაბ მაღალაშვილის პასუხი, რომელიც მაშინვე ითარგმნა ქართულ ენაზე და გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა (1882, N61), ვფიქრობთ, XIX საუკუნის ქართული პუბლიცისტიკის საინტერესო ფურცელია და ამიტომ აქ მას სრულად ვიმოწმებთ:

შაქრო მაღლაფშვილის ოჯახი

„მოსკოვის უწყებების“ მე-44 ნომერში დაბეჭდილია თფილისიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომელიც სავსეა უმართებულო და გამოუწვეველის შეურაცხყოფითა; ეს შეურაცხყოფა ისეთს საგანს შეეხება, რომელიც ყოველის ხალხისათვის წმინდა და ნაციონალურ დიდების კუთვნილებას შეადგენს. ქართულს სცენაზედ ისტორიულ დრამმის წარმოდგენამ, რომელშიაც გამოხატულია სპარსელების თავდასხმა საქართველოზე, მიზეზი მისცა მოსკოვის გაზეთს – ძნელად დასაჯერებელი კია ეს – ქართველებს სეპარატიზმი შესწამოს და ამასთანავე ბ-ნ კატკოვს არ შერცხვა რჩევა მოეცა, კარგი იქნებაო, რომ ქართველებმა თავისი დროშები პანტომიმის დასამშვენებლად ცირკში გაჰყიდონო. რამდენათაც შესაძლებელია ერთად მოთავსება „სეპარატიზმის“ წარმოდგენისა და იმ თავგანწირულ ერთგულებისა, რომელიც საზოგადო სამშობლოსათვის თავის სისხლის ღვრით აღმოუჩენიათ ქართველებს თითქმის ერთის საუკუნის განმავლობაში – ეს რუსის საზოგადოებამ გადასწყვიტოს.

რაიცა შეეხება ქართველთა დროშის შეურაცხყოფას, ვკითხულობთ: რომელ ქართველთ დროშებზე ლაპარაკობს გაზეთი?

იმ დროშაზედ ხომ არა, რომლის კალთის ქვეშ საქართველო, ვითარცა „ქრისტიანეთა წინამორბედი სიმაგრე მაჰმადიანობის წინააღმდეგ“, თორმეტის საუკუნის განმავლობაში თავის შვილების სისხლით სახელოვნად იცავდა მართლმადიდებელ ჯვარსა, იმ ჯვარსა, რომელიც იმან „მეცხრამეტე საუკუნის კარებამდინ მიიტანა“? ან იქნებ იმ დროშებზე ლაპარაკობდეს ხსენებული გაზეთი, რომელიც უბოძა ქართველ ხალხს: ერთი – იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ რუსის ტახტის ერთგულებისა და სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის და მეორე წმ. გიორგის დროშა, რომელიც მიცვალებულმა იმპერატორმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ უბოძა ჩოლოქთან მამაცურ ბრძოლისათვის 4 ივნისს 1854 წ.?

ყველა ეს ის დროშებია, რომელიც ქართველთა მაღლად ეჭირათ ხელში, რომელსაც სახელოვანად იცავდნენ და რომლითაც მცირე აზიის მინდვრებში, ჩერქეზის, ჩეჩნისა და დაღესტნის სიმაგრეებზე დაიმსახურეს თავის ხელმწიფეთა ნდობა რუსეთისა და საქართველოს საუკეთესო შვილთა სისხლის დაღვრით. მაშ რომელ ამ დროშათაგან გვირჩევენ „მოსკ. უწყებები“, რომ ცირკს გარდავცეთ?

დედა-მიწაზე არ მოიპოვება ბარბაროსი, რომელიც პატივს არა სცემდეს იმ საერო წმიდანს, რომელიც წარმომადგენელია, ემბლემაა ერის სახელისა და ნაციონალურ ღირსებისა. მოსკოვის გაზეთი აქაც გამოსარიცხი შეიქნა და რამდენად სანატრელი და სასიქადულოა ამ გვარი იმის ქცევა, – ამის დაფასება საზოგადოებისათვის მიგვინდვია; ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ რუსის საზოგადოება ღირსეულად დააფასებს

1897
ქართული თეატრი
ივნისს 28 დეკემბერს
ეს ს ფესხის ფენაფლეფლეფლეფ
საქართველო
ГРУЗИНСКІЙ ТЕАТРЪ
ВЪ ВОСКРЕСЕНЬЕ 28 ДЕКАБРЯ
РОДИНА

სპექტაკლ სამშობლოს აფიშა

„მოსკოვის უწყებების“ ამ „პატრიოტულ“ მოქმედებას, რომლისთვისაც ჩვენ შესაფერი სახელიც კი ვერ მოგვიძებნია.“

სცენა სპექტაკლიდან სამშობლო

ლუარსაბ მაღალაშვილი იყო უაღრესად კოლორიტული, იმპოზანტური გარეგნობის პიროვნება და, მიუხედავად სოლიდური საზოგადოებრივი მდგომარეობისა, მისთვის არც ცხოვრების „დარდიმანდული“ წესი იყო უცხო – მოლხენა უყვარდა და, როგორც ჩანს, ქალის ყადრიც იცოდა. ამ მხრივ, საგულისხმოა ლუარსაბის ქალიშვილის – ელენე მაღალაშვილის – მოგონება: „სამოციან წლებში, სტუდენტობის არეულობის დროს, ქ. პეტერბურგში ილია ჭავჭავაძე... მამაჩემს შეხვდა ქუჩაში, გააჩერა და ურჩია, იმავე წამს წასულიყო თავის ბინაზე, დაეწვა ყველა წიგნი და ქაღალდი, რომლითაც მას ბრალს სდებდნენ სტუდენტების არეულობაში მონაწილეობის გამო და საერთოდ რევოლუციის საქმეში, რადგანაც სწორედ იმ დღეს, საღამოს მოელოდნენ სტუდენტთა შორის ალყას, ჩხრეკას და დაპატიმრებას... მამაჩემი მაშინვე ჩაჯდა ტრანსპორტში და გაემგზავრა სახლისაკენ... მაგრამ გზაზე მოულოდნელად შეხვდა ბოშა ქალს, რომლითაც ის გატაცებული იყო და საქმე სხვანაირად შეეცვალა. სიყმაწვილემ და მოუფიქრებლობამ დასძლიეს ის, სრულიად დაავიწყეს ილიას რჩევა...“ („საისტორიო მოამბე“. ტ. 55-56. 1987, გვ. 146).

მეორე რიგში მარცხნიდან პირველი შაქრო მაღალაშვილი

იქვე ელენე მაღალაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ 1907 წელს მძიმედ დაავადებული ლუარსაბი თბილისში იმ მიზნით დაბრუნდა, „რომ სამშობლოში მომკვდარიყო“.

ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილი გარდაიცვალა თბილისში 1907 წლის 28 მარტს. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ თელოვანში.